2257/3-2/22 2 15032022

2257/3-2/22
15-03-2022

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს

ქალბატონ ნათია სულავას

ქალბატონო ნათია,

ამა წლის 14 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში ყოველწლიური გამოსვლისას, ისაუბრა 26 თებერვალს ოთხ ევროპულ ქვეყანაში დაგეგმილ ვიზიტზე, რომლებიც ვერ გაიმართა ოფიციალური შეხვედრის ფორმატში, მთავრობის მხრიდან წერილობითი უარის გამო.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, 148-ე მუხლით მონიჭებული უფლების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია აწ უკვე გაუქმებული ოფიციალური შეხვედრები ვისთან იგეგმებოდა, რა მიზნით და რა იყო განსახილველი საკითხებს შორის.

ასევე გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ რა მიზეზით ეთქვა საქართველოს პრეზიდენტს უარი აღნიშნულ ვიზიტებზე?

გთხოვთ ასევე დამატებით მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

• სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციიდან 2022 წლის 14 მარტის ჩათვლით საერთაშორისო ვიზიტებთან დაკავშირებით რამდენჯერ შედგა კომუნიკაცია მთავრობის შესაბამის წარმომადგენლებთან, მათგან რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენზე ეთქვა უარი;

• თუ არსებობს საერთაშორისო ვიზიტებზე პრეზიდენტისთვის უარის თქმის შესახებ კორესპონდენციები, მათ შორის პრეზიდენტი ადმინისტრაციიდან გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;

• მთავრობის მხრიდან უარის მიღების მიუხედავად, რამდენი და ვისთან ვიზიტი განხორციელდა, მათ შორის პრეზიდენტის პირადი კავშირების გამოყენებით.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია